დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2010 წლის 10 მაისის N40 სხდომის ოქმით. ცვლილებები შესულია აკადემიური საბჭოს 2023 წლის 25 მაისის N5 სხდომისა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 6 ივნისის N2 სხდომის გადაწყვეტილებებით

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში კვლევითი ერთეულისა და ფაკულტეტის/სკოლის ცენტრის/ლაბორატორიის შექმნის წესი

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში კვლევითი ერთეულის/ცენტრის/ლაბორატორიის შექმნის სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს უმაღლესი განათლების შესახებ კანონი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება;

2. კვლევითი ერთეული/ცენტრი/ლაბორატორია იქმნება ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევებისათვის, აქვს სამეცნიერო-კვლევითი პროგრამა, ჰყავს აკადემიური, დამხმარე და კვლევითი პერსონალი, აქვს საკუთარი ბიუჯეტი;

3. კვლევითი ერთეული/ცენტრი/ლაბორატორია შესაძლოა არსებობდეს შემდეგი ფორმით:

ა) ინსტიტუტი, რომელიც აწარმოებს ფუნდამენტურ და გამოყენებით სამეცნიერო კვლევებს და მისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროგრამა შედგება ერთი ან რამდენიმე პროექტისაგან;

ბ) ფაკულტეტის/სკოლის ცენტრი, რომელიც აწარმოებს ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევებს და ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით პროექტს, რომელიც არ წარმოადგენს რომელიმე ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროგრამის ჰომოგენურ ნაწილს, მაგრამ ამ პროექტს და მის კვლევით შედეგებს აქვს ან შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელობა უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისათვის;

გ) ფაკულტეტის/სკოლის ლაბორატორია, რომლის შექმნის მიზანია უნივერსიტეტში არსებული მატერიალური, ტექნიკური და ადამიანური რესურსების ოპტიმალური გამოყენება, ასევე ინსტიტუტების, კვლევითი ცენტრების, უნივერსიტეტის პროფესორების, მკვლევრების, მასწავლებლებისა და სტუდენტების მიერ შექმნილი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ექსპერიმენტული მხარის განხორციელება და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დაგეგმვაში მეთოდოლოგიური დახმარება.

4. ინსტიტუტის/ცენტრის/ლაბორატორიის სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს ადგენენ უნივერსიტეტის პროფესორები ან/და მკვლევრები;

5. ინსტიტუტის/ცენტრის/ლაბორატორიის სამეცნიერო-კვლევით პროექტს/პროგრამებს ამტკიცებს აკადემიური საბჭო იმ შემთხვევაში, თუ კვლევითი პროექტის დაფინანსება

უნდა მოხდეს უნივერსიტეტის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ბიუჯეტის ფარგლებში;

6. ინსტიტუტის დირექტორად შეიძლება დანიშნულ იქნას პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, რომელსაც ნიშნავს აკადემიური საბჭო. აკადემიურმა საბჭომ შესაძლებელია გამოაცხადოს კონკურსი ინსტიტუტის დირექტორის პოზიციის დასაკავებლად;

7. ფაკულტეტის/სკოლის ცენტრის ან ლაბორატორიის დირექტორად შესაძლოა დაინიშნოს აკადემიური, კვლევითი ან დამხმარე პერსონალი. დირექტორს, ცენტრისა და ლაბორატორიის შემთხვევაში, ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი, შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლის დეკანის წარდგინებით, საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა ცენტრის ან ლაბორატორიის დირექტორის პოზიციაზე გამოცხადდეს კონკურსი, ან კანდიდატურა შეთანხმდეს აკადემიურ საბჭოსთან;

8. ინსტიტუტის/ცენტრის/ლაბორატორიის დებულება განიხილება ფაკულტეტის საბჭოზე, აკადემიურ საბჭოზე და მტკიცდება წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ;

9. ინსტიტუტი/ცენტრი/ლაბორატორია ექვემდებარება გაუქმებას, თუ ზედიზედ 2 წლის განმავლობაში არ ასრულებს საქმიანობას ან არ წარუდგენს შესრულებული საქმიანობის ანგარიშს ინსტიტუტის შემთხვევაში აკადემიურ საბჭოს, ცენტრის ან ლაბორატორიის შემთხვევაში - ფაკულტეტის საბჭოს.